5954/3-92/22 2 04072022

5954/3-92/22
04-07-2022

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი ლექვინაძეს

ბატონო ირაკლი,

როგორც მოგეხსენებათ, 2022 წლის 29 მარტს (№1455-VIIIმს-Xმპ), საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს, შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ უფლებამოსილ ორგანოსთან ერთად, აკისრებს საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უფლებამოსილებას.

საქართველოს პარლამენტი დაინტერესებულია თვალი მიადევნოს ამ მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტის აღსრულებას პრაქტიკაში. გაცნობებთ, რომ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის 30 მაისის გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 45-ე მუხლის შესაბამისად, დავინიშნე თემატურ მომხსენებლად მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხებზე. შესაბამისად, ჩემი მიზანია, შევისწავლო მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა, კანონის სრულფასოვანი ამოქმედებისთვის კონკურენციის სააგენტოსა და სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ გადადგმული ნაბიჯები და წლის ბოლომდე კომიტეტს წარვუდგონო მოხსენება ამ მიმართლებით არსებული მდგომარეობის შესახებ.

გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რა მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა სააგენტომ კანონის დროულად და ეფექტიანად აღსრულების მიზნით. კერძოდ, გთხოვთ მაცნობოთ:

- რა სტრუქტურული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული სააგენტოში მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხების გადასაწყვეტად; როგორ მიმდინარეობს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის დაკომპლექტება და პერსონალის მომზადება;

- რა დამატებითი ფინანსური რესურსი იქნა მობილიზებული მიმდინარე წლის ბიუჯეტში ამ მიმართლებით და როგორ განისაზღვრა მომდევნო წლის მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებები მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხებზე;

- რა ეტაპზეა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების, მათ შორის, განაცხადის ფორმის შემუშავება და დამტკიცება;

2. რა ღონისძიებები დაიგეგმა ან იგეგმება მომხმარებლის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად; როგორ გეგმავს კონკურენციის სააგენტო კერძო სექტორის ინფორმირებას და მომზადებას მომხმარებლის უფლებების დაცვის აღსრულების საკითხებზე და რა დამატებით საჭიროებები აქვს სააგენტოს ამ მიმართულებით.

მადლობას გიხდით ინფორმაციისთვის და თემატური მომხსენებლის საქმიანობის პროცესში თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ეკა სეფაშვილი